სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება

დამტკიცებულია საქართველოს შოთა
რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს მიერ
(ოქმი#11,30/09/2024წ.)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") უწყვეტი განათლების ცენტრი (შემდგომში - "ცენტრი") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

1.2 ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

1.3 ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის დანიშნულება, საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის დანიშნულებაა:

ა) საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებისათვის უნივერსიტეტის რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების საშუალების მიცემა პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ახალი პროფესიული უნარების შეძენისათვის, აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების მისაღებად საფუძვლების შექმნისათვის, უმაღლესი განათლების უპირატესობების და შესაძლებლობების და სამომავლო მიზნების იდენტიფიცირებისა და მიღწევისათვის.

2.2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი სფეროა უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების (რომელიც გათვლილია ორ ძირითად სამიზნე აუდიტორიაზე: შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოება, უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები და ფართო საზოგადოება/შეუზღუდავად ასაკისა) პროგრამების შექმნა და ადმინისტრირება.

2.3. ცენტრის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესაძლებლობების განვითარება;

ბ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პრიორიტეტების განსაზღვრა, საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და მათი განხორციელება;

გ) უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და შეთავაზება დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისა და ორგანიზაციებისათვის;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული და აკადემიური განვითარების მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა და განხორციელება;

ე) ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების მომზადება;

ვ) აბიტურიენტებისათვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შესაძენად შესაბამისი მოსამზადებელი პროგრამების ორგანიზება;

ზ) პროფესიული სასწავლო პროცესების დანერგვის ხელშეწყობა კულტურის სფეროში;

თ) სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების ჩატარება უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მოთხოვნებისა და მისი განვითარების გათვალისწინებით;

ი) ფართო საზოგადოებაში კულტურის ფასეულობების დანერგვა სხვადასხვა სასწავლო პროგრამის გზით.

2.4. ცენტრი ახორციელებს:

ა) ცენტრის ინიციატივით, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, ბიზნესის სექტორთან, ადგილობრივი თვითმმართველობის, პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა სუბიექტებთან თანამშრომლობით და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, უწყვეტი განათლების პროგრამების პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრას და შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას;

ბ) უწყვეტი განათლების პროგრამების ადმინისტრირებას;

გ) უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოებას;

დ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობას, მათთვის ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული საჭიროებების შესახებ გამოკითხვების წარმოებასა და მათთვის შესაბამისი ტრენინგების/კურსების ორგანიზებას;

ვ) საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებას უწყვეტი განათლების პროგრამებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ;

ზ) ამყარებს კონტაქტებს უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან, ასოციაციებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;

თ) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას;

ი) უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებების კვლევას და მათთვის შესაბამისი უწყვეტი განათლების პროგრამების შეთავაზებას;

კ) სხვადასხვა ასაკის მსმენელებისათვის კულტურის სფეროს მიმართულებების პროგრამების შეთავაზებას;

ლ) აბიტურიენტებისათვის აკადემიური (საბაკალავრო, სამაგისტრო) განათლების პროგრამებში ჩართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მისაღებად მოსამზადებელი პროგრამების შეთავაზებას;

მ) სკოლების მოსწავლეებისათვის სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიების დაგეგმვას და განხორციელებას.

ნ) ორგანიზებას უწევს მასტერ-კლასებს, ტრენინგებს, სემინარებს კულტურის სფეროში;

ო) ქმნის და ნერგავს ხელოვნების საკვირაო და საზაფხულო სკოლის პროგრამებს;

პ) ქმნის და ნერგავს არაფორმალური განათლების პროგრამებს კულტურის სფეროს მიმართულებით;

რ) ავრცელებს და ნერგავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინოვაციებს.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

3.1 ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს, რომლის სტრუქტურა ითვალისწინებს: ცენტრის ხელმძღვანელს, ცენტრის პროგრამების მენეჯერს და ცენტრის კოორდინატორ(ებ)ს.

3.2 ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი კონკურსის წესით. ცენტრის უფროსის მიერ თავის უფლება-მოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტით არყოფნა) მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის პროგრამების მენეჯერი.

3.3. ცენტრის პროგრამების მენეჯერს და კოორდინატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3.4. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას, განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) იხილავს და და ორგანიზებას უწევს ცენტრის მიერ მოსამზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებთან კოორდინაციას.

დ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციებს და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;

ე) ზედამხედველობს ცენტრის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ვ) წარმოადგენს ცენტრს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ცენტრის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

3.5. უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი:

ა) აინიცირებს ცენტრის პროგრამების შემუშავებას და ხელმძღვანელობს მისი განხორციელების პროცესს.

ბ) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, რექტორის, ცენტრის ხელმძღვანელის უშუალო დავალებებს.

გ) ორგანიზებას უწევს ცენტრის პროგრამების ფუნქციონირებას, რისთვისაც ცენტრის უფროსს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განიხილავს პროგრამას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მისი ხარისხის კულტურის განვითარების კუთხით

დ) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი სასწავლო პროგრამების განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;

ე) ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას პროგრამების განხორციელებისათვის.

ვ) ანაწილებს ცენტრის კოორდინატორების მოვალეობებს ცენტრის უფროსის მითითებების შესაბამისად, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;

ზ) უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის დამუშავებას, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

თ) ახდენს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემავალი ღონისძიებებისა და სასწავლო პროცესის განხორციელებას;

ი) მონაწილეობს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში;

3.6 ცენტრის კოორდინატორი

უწყვეტი განათლების ცენტრის კოორდინატორი ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის პროგრამების მენეჯერის დავალებებს.

3.7. პასუხისმგებელია ცენტრის ხელმძღვანელისა და პროგრამების მენეჯერის მიერ მითითებული დავალებების შეუფერხებლად განხორციელებაზე.

3.8 ახორციელებს პროგრამისათვის მსმენელების რეგისტრაციის კოორდინირებას, საბუთების მიღებასა და მათ დაკომპლექტებას, ჯგუფების პირადი საქმეების მოწესრიგებას,

3.9 მონიტორინგს უწევს ჯგუფში მსმენელების დასწრებას, ფინანსური დავალიანებების კონტროლს, დასრულებული პროგრამის შემდეგ ამზადებს დამასრულებელი დოკუმენტის გაცემის პროცესს.

3.10 ცენტრის კოორდინატორ(ებ)ი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ხანგძლივობაში ისეთი ფაქტების გამოვლენაში, რომელიც ხელს უშლის მსნელებისათვის სასწავლო პროცესების ხარისხიანად ათვისებაში. გამოვლენის შემთხვევაში წარადგენს სამსახურეობრივ ბარათს ცენტრის ხელმძღვანელის სახელზე, სწრაფი რეაგირებისათვის.

3.11. ცენტრის კოორდინატორთა რაოდენობა განისაზღვრება უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამების რაოდენობისა და დატვირთვის შესაბამისად.

3.12. უწყვეტი განათლების ცენტრის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ცენტრის ხელმძღვანელისა და ცენტრის პროგრამების მენეჯერის წინაშე.

მუხლი 4. ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფა და ანგარიშვალდებულება

4.1 ცენტრის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის იმ ფინანსური რესურსით, რომელიც აკუმულირდება ცენტრის მუშაობის შედეგად.

4.2 ფინანსების განაწილების სისტემა მოცემულია უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფისა და განაწილების წესში (დანართი N1);

4.3 ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 5. უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამების შემუშავების და დამტკიცების წესი

5.1 ნებისმიერი სასწავლო პროგრამის შემუშავება ხდება ცენტრის მიერ სასწავლო პროგრამების პროექტის შემუშავების წესების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

5.2 ცენტრის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად. განხილული პროექტი წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

5.3 ცენტრში არსებული პროგრამების ვადები განსაზღვრება 1 თვიდან 1,5 წლამდე (განსაკუთრებით შემთხვევებში შესაძლებელია განსხვავებული ვადები).

5.4 სასწავლო ჯგუფში, სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმყოფებოდეს 5-დან 20 მსმენელამდე.

მუხლი 6. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2 ცენტრის რეორგანიზაცია ან გაუქმება ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3 წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად დებულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და

ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დებულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

6.4 დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე. მისი დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია წარმომადგენლობით საბჭოს.

6.5 წინამდებარე დებულების ამოქმედებით, უნივერსიტეტში უკვე არსებული- წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებული 13.06.2011 #8 სხდომის დადგენილების დანართი #10 კარგავს ძალას და ზემოხსენებულ საკითხზე იურისდიქცია გააჩნია მხოლოდ წინამდებარე დებულებას.